პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 135 (5165)

1974 წ. 10 ივლისი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მოსკოვი ღირსეული კანდიდატია

დუბლინი, 8 ივლისი. მოსკოვი დღეს უკვე მზადაა 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად, — ასეთია ირლანდიელი სპორტის მიმომხილველის შეიმას მარტინის დასკვნა. მარტინი ამას წინათ უცხოელ ჟურნალისტთა ჯგუფთან ერთად სტუმრად იყო სსრ კავშირში და გაეცნო ფიზიკური აღზრდის საბჭოურ სისტემას.

— საბჭოთა კავშირის დედაქალაქს უკვე აქვს ოლიმპიადის ჩატარებისთვის აუცილებელი სპორტული ბაზები, — წერს მარტინი გაზეთ „სანდი ინდეპენდენტში“, — რამდენიმე დღის მანძილზე მოსკოვში ყოფნა ყველა სკეპტიკურად განწყობილ მიმომხილველსაც კი დაარწმუნებდა იმაში, რომ ამ ქალაქს შეუძლია ოლიმპიური თამაშების მასპინძელი იყოს.

მარტინს ძალიან მოეწონება ლუჟნიკის სპორტული კომპლექსი და მოსკოვის სხვა ბაზები, სადაც, მისი აზრით, „შეიძლება შეჯიბრებები ჩატარდეს ყველა სახეობაში — დაწყებული სროლითა და ნიჩბოსნობით, დამთავრებული ძალოსნობითა და ტანვარჯიშით“.

„მოსკოვის სასარგებლოდ მეტყველებს კიდევ ერთი ფაქტორი, — წერს მარტინი, — სოციალისტურ ქვეყნებში ოლიმპიური თამაშები ჯერ არ ჩატარებულა, თუმცა ამ სახელმწიფოებს დიდი დამსახურება მიუძღვით საერთაშორისო სპორტის განვითარებაში“.





ახალგაზრდობას ძალიან იზიდავს სპორტის ტექნიკური სახეობები, განსაკუთრებით მცირელიტრაჟიანი მანქანებით — „კარტინგებით“ რბოლა. ჩვენი რესპუბლიკის დოსააფის სპეციალურ სპორტულ სკოლაში ამ და სხვა სახეობებს მრავალი მოზარდი ეუფლება. ბევრმა დიდ სარბიელზეც სცადა ძალა. მათ შორის დაწინაურდნენ თბილისის 54-ე სკოლის მოსწავლეები, მერვეკლასელი გ. კორკოტაშვილი და მეათეკლასელი რ. ვასაძე, რომლებმაც ამას წინათ თბილისში გამართულ რესპუბლიკურ პირველობაში გამარჯვებაც დაისაკუთრეს. კორკოტაშვილმა „50-იანებით“ რბოლა მოიგო, ხოლო ვასაძემ 125 კბ სმ მოცულობის ძრავიანი „კარტინგებით“ ასპარეზობაში ისახელა თავი.

სურათებზე: მარცხნივ — რ. ვასაძე ასპარეზობის დროს; გ. კორკოტაშვილი დისტანციაზე.

ო. გელაშვილის ფოტოები.

## ფინიშის მღელვარება

ფრუნზეში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა XXXIV საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. გათამაშებულია 11 ტური.

ლიდერთა ჯგუფში კვლავ წინაა ესტონელი მ. სამული, რომელსაც 10 ქულა აქვს. მას კვალში მიჰყვება საქართველოს ჩემპიონი ოსტატი ც. კობაიძე (თბილისი), რომელსაც 8 ქულა და ერთი უკეთეს პოზიციაში გადადებული პარტია (ტაშკენტელ საერთაშორისო ოსტატ ვ. ბორისენკოსთან) აქვს.

ფინალის მესამე საგზურისთვის მწვავე ბრძოლა მიმდინარეობს ოსტატ თ. გოლოვეისა (მინსკი) და საერთაშორისო ოსტატ ა. ჩაიკოვსკაიას (თბილისი) შორის. პირველს 6 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს, მეორეს კი — 6 ქულა.

სათამაშო დარჩა 4 ტური.

## დაუმარცხებელთა ტრიო

სან-ხუანი, 8 ივლისი. კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის მორიგ ტურში საბჭოთა და ბრაზილიელი სპორტსმენები ისვენებდნენ.

ყურადღების ცენტრში იყო ტურნირის მასპინძლების შეხვედრა ესპანელებთან. მაყურებლების მხურვალე მხარდაჭერის მიუხედავად, ესპანეთის გუნდის უპირატესობა აშკარა იყო ორივე ტაიმში. გამარჯვებაც სწორედ მას დარჩა — 102:86.

მსოფლიო ჩემპიონის თამაში კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. მორიგ ტურში ამ გუნდმა დაამარცხა მიუნხენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, კუბის კოლექტივი — 101:83. იუგოსლაველებს ფინალში ორი გამარჯვება აქვთ მოპოვებული.

ჩემპიონატს კი აშშ-ს ნაკრები ლიდერობს, რომელმაც მესამე თამაში მოიგო ზედიზედ. ამჯერად მან თავისი მეზობელი კანადა დაამარცხა — 115:94.

მომდევნო წრეში ერთმანეთს შეხვდებიან: სსრ კავშირი — იუგოსლავია, ესპანეთი — კანადა, აშშ — კუბა.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 3 | 0 | 323—241 | 3 |
| სსრ კავშირი | 2 | 2 | 0 | 179—131 | 2 |
| იუგოსლავია | 2 | 2 | 0 | 185—143 | 2 |
| კუბა | 2 | 1 | 1 | 163—180 | 1 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 2 | 244—300 | 1 |
| კანადა | 2 | 0 | 2 | 173—195 | 0 |
| პუერტო-რიკო | 2 | 0 | 2 | 162—196 | 0 |
| ბრაზილია | 2 | 0 | 2 | 120—163 | 0 |

## გადამწყვეტი შეხვედრების წინ

თბილისის ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა კალათბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ბოლოსწინა ტური.

ვაჟთა შორის დამაჯერებლად თამაშობენ თბილისის დინამოელები. ამჯერად მათ იოლად დაამარცხეს უნივერსიტეტის სტუდენტები — 116:79 (56:48). გამარჯვებულთაგან საუკეთესო იყო გ. ბიჭიაშვილი, მან გუნდს 29 ქულა შესძინა, მ. ქორქიამ — 21, ხ. ქორქიამ — 18. უნივერსიტეტის გუნდში, როგორც მუდამ, სროლის სიზუსტით გამოირჩეოდა ს. მალალაშვილი — 30.

დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა პოლიტექნიკური და პედაგოგიური ინსტიტუტების გუნდების შეხვედრამ. მომავალმა ინჟინრებმა პირველ ტაიმში გაიმარჯვეს (41:34), მაგრამ ვერ შეინარჩუნეს უპირატესობა და შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 76:76. დამატებით დროში ინჟინრებმა შეძლეს ძნელი გამარჯვების მოპოვება — 85:80. პოლიტექნიკოსებიდან გუნდს ყველაზე მეტი ქულა შესძინა გ. ჯუღელმა — 32, მომავალი პედაგოგებიდან — გ. ნადირაშვილმა — 21. ახლა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები გადამწყვეტ მატჩში შეხვდებიან „დინამოს“ და გამარჯვებული რესპუბლიკის ჩემპიონი გახდება.

ქალთა ტურნირში ჩემპიონის წოდებისთვის იბრძოლებენ უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები. საანგარიშო ტურში მომავალმა ინჟინრებმა ადვილად დაამარცხეს უცხო ენათა ინსტიტუტის წარმომადგენლები — 84:33 (47:23). უნივერსიტეტელებმა, როგორც უკვე ვიუწყებოდით, სძლიეს თბილისის განათლების განყოფილების სპორტსმენებს — 71:48 (31:26).

კალათბურთი

## სტუმრები ჩადის რესპუბლიკიდან

8 ივლისს თბილისს ესტუმრა ჩადის რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელიც რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს საბჭოთა გუნდებთან. ეს არის ამ აფრიკული რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის პირველი სტუმრობა საბჭოთა კავშირში.

თბილისის აეროდრომზე ჩადელ ფეხბურთელებს დახვდნენ თბილისის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლები. მოკლე დროის მანძილზე ჩადის რესპუბლიკის ფეხბურთელებმა დაათვალიერეს საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობები, სპორტული ბაზები.

იმავე დღეს სტუმრები ქუთაისს გაემგზავრნენ, სადაც ხვალ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში შეხვდებიან ამ ქალაქის „ტორპედოს“ გუნდს.

## ხუთი ღირსების რაინდთა ასპარეზობა

მოსკოვი, 9 ივლისი. თანამედროვე ხუთჭიდში საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებმა უკვე იასპარეზეს ორ სახეობაში — ფარიკაობასა და ცხენოსნობაში. პირველი სახეობის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდეს ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლვოველმა პ. ლედნიოვმა და „ენბეკის“ წარმომადგენელმა ვ. სვატენკომ, რომლებმაც 41 ბრძოლიდან 31-ში გამარჯვება მოიპოვეს. თითოეულმა 1000 ქულა დააგროვა. ლიდერებს შორის გამართულმა დამატებითმა ბრძოლამ უპირატესობა ოლიმპიურ ჩემპიონს მოუტანა.

ცხენოსნობაში ყველას აჯობა რიგელმა ვ. კრავცოვმა, რომელმაც ფარიკაობაშიც საკმაოდ მაღალი შედეგი მოიპოვა და ორი სახეობის ჯამში დაწინაურდა — 1924 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან პროფკავშირების წარმომადგენლები ვ. ქარკოვი და ვ. სვატენკო. ოლიმპიურ ჩემპიონს ბ. ონიშჩენკოსაც კარგი შედეგი აქვს და თამამად შეუძლია გამარჯვებისთვის იბრძოლოს.

* * *

სურათზე: ჩემპიონატის მონაწილე ვ. ქარკოვი ასპარეზობისას.

ი. მორგულისის ფოტო.



## ახალი ამბები-74

● ლენინგრადი, 9 ივლისი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი საგზაო-წრიულ ავტორბოლაში. „მოსკვიჩებისა“ და „ჟიგულების“ კონსტრუქციულ ცვლილებებიანი მანქანებით რბოლაში ყველას აჯობა ვილნიუსელმა შოფერმა ვ. ოლეკამ. ამავე კლასის სტანდარტულძრავიანი მანქანებით რბოლა მოიგეს ი. კრიუკოვმა და ი. ლუკიახოვმა (ორივე — ტოლიატი). „ვოლგებით“ ასპარეზობა მოსკოველი ა. ზამისლოვის გამარჯვებით დამთავრდა. გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა რსფსრ-ს ნაკრები.

● კლაიპედა, 9 ივლისი. მარათონულ რბენაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა 32 წლის პერმელმა ი. ველიკოროდნიხმა. 42 კმ-ისა და 195 მ-ის გარბენას მან 2:15.27,8 მოანდომა. II ადგილზეა ი. ლაპტევი (ალმა-ათა) — 2:15.58,4, III — ა. სტრელეცი (ზაპოროჟიე) — 2:16.06,0. 107 მონაწილეში შეჯიბრება 48 კაცმა დაამთავრა.

● ოსლო, 9 ივლისი. მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ახალზელანდიელმა ჯ. უოკერმა 3000 მეტრზე რბენაში ამ სახეობის ისტორიაში მეორე შედეგი აჩვენა — 7.40,6. ეს სულ რაღაც 3 წამით ჩამორჩება ბელგიელი ე. პუტემანსის მსოფლიო რეკორდს. მესამე პრიზიორმა ბ. მალინოვსკიმ პოლონეთის რეკორდი დაამყარა — 7.42,4, ჯ. სანგმა 400 მეტრი 45,8 წამში დაფარა, ხოლო რ. ოუკომ (ორივე—კენია) 800 მეტრზე 1.46,0 აჩვენა. ევროპელთაგან საუკეთესომ ო. სვენსონმა, რომელმაც V ადგილი მოიპოვა, შვეციის რეკორდი დაამყარა — 1.46,9. ე. ტერინგი 110 მეტრზე თარჯრბენში ნორვეგიის რეკორდსმენი გახდა — 13,7.

● ერფურტი, 9 ივლისი. 19 წლის უ ბაიერმა (გდრ) ბირთვი 20,16 მეტრზე ჰკრა და იუნიორთა შორის მსოფლიო რეკორდსმენი გახდა, აქვე მისმა თანამემამულემ მ. დრეზემ 200 მეტრზე რბენაში საკმაოდ მაღალი შედეგი (20,6) აჩვენა.

● კაუნასი, 9 ივლისი. 27 ნაკრები გუნდი მონაწილეობდა 100 კილომეტრზე ველორბოლაში, რომელიც საკავშირო ჩემპიონატის პროგრამაში შედიოდა. წარმატებით იასპარეზეს სსრ კავშირის მეორე ნაკრების წევრებმა — ომსკელებმა მ. კომნატოვმა და რ. შარაფულინმა, ხარკოველმა ვ. პოტაპოვმა, კიეველმა ვ. ფიოდოროვმა. მათი შედეგია 2:03.50,9.

# რა ვუწოდოთ?

## წერილი რედაქციას

ქართული საბჭოთა კრივის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე დაიბეჭდა კრივის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის ბ. კვინიხიძის ვრცელი წერილი „ქართული კრივის ფაქტების დაზუსტებისთვის“.

წერილში ავტორი შეეცადა გადმოეცა კრივის ისტორია საქართველოში, რაც თავისთავად კარგია და მისასალმებელი. მაგრამ კრივის ფაქტების დაზუსტება აქ აბა, რა შუაშია. კრივის, როგორც სიტყვის ეტიმოლოგია, რასაც წერილის თითქმის ორი მესამედი ეძღვნება, განა ფაქტის დაზუსტებაა? რუსული კრივის განვითარებაზე მსჯელობა (ავტორის მიზანი თითქოს ეს არ უნდა ყოფილიყო) განა კრივის ფაქტების დაზუსტებაა? რაღა თქმა უნდა, არა.

ქართული კრივის ცნების გარკვევისთვის აბა რა საჭირო იყო ისტორიული ექსკურსები, რა საჭირო იყო ზოგი მკვდარი და ზოგი ცოცხალი ენის სამყაროში ხეტიალი?

სიტყვა კრივის უცხოური წარმოშობის თაობაზე თავისი ყოვლად მკდარი აზრის დასაფარავად ავტორი თავს წინასწარვე იზღვევს და გვიხსნის: „უცხო სიტყვა კრივის დამკვიდრება ქართულ ენაში აუცილებლად ქართული ენის გამდიდრების ელემენტია და არა ენის სიღარიბე“.

ჩვენ ავტორს უნდა ვუმადლოდეთ, რადგან პირველმა მან „მიგვითითა“, რომ თურმე „კარ (კვრა) საერთო უძველესი ინდოევროპული საზიარო ფენაა ქართულში“ მერედა რაა აქ გასაკვირი? — უცხო სიტყვებით „... მსგავსი ერთეულები დადგენილი აქვთ ივ. ჯავახიშვილს, აკ. შანიძეს, არნ. ჩიქობავას, გ. წერეთელს, ივ. ქავთარაძეს, გ. დეეტერსს, კ. ფოგტს, მ. ანდრონიკაშვილს და სხვებს“.

ბ. კვინიხიძემაც აიღო და ქართული სიტყვა კრივის ფუძე, თუმცა რას ვამბობ, ფუძე კი არა, თვით დასრულებული სიტყვა კრივი უცხოურად გამოაცხადა. ავტორმა თავისი „შეგონება“ ასეთი დასკვნით დაამთავრა: „თუ გაითვალისწინებთ ყოველივე ზემოთ აღნიშნულს, მტკიცდება, რომ სიტყვა კარ (კვრა) უძველესი ქართული სიტყვაა, რაც შეეხება კრივს, იგი ასირიულიდან შემოსული ჩანს ქართულში უძველეს დროშივე, მაგრამ ლიტერატურული ფიქსაცია გვიან მიიღო, რადგან ადგილობრივი მისი რამდენიმე შესატყვისი იმთავითვე ყოფილა“.

საკითხავია, იფიქრებს მკითხველი, საიდან მივიდა წერილის ავტორი ამ „აღმოჩენამდე“? ბ. კვინიხიძე წერს: „ცნობილია, რომ სულხან-საბა ორბელიანი და ნ. ჩუბინაშვილი ერიდებოდნენ მათ მიერ შედგენილ ლექსიკონებში უცხო სიტყვის შეტანას“. აქედან გამომდინარეობს ლოგიკური სილოგიზმი: „ამდენად უცხო სიტყვა კრივი არ განუმარტავთ“.

კაცს ეს ლექსიკონები გადაშლილიც არ უნდა ჰქონდეს, რომ ასეთი რამე თქვას. დიდი ლექსიკოგრაფი ლექსიკონში უცხო სიტყვების შეტანას კი არ ერიდებოდა, პირიქით, გაბედულად შეჰქონდა, მაგრამ იქვე მიუწერდა ხოლმე: ეს სპარსთა ენაა, ეს თურქთა ენააო და სხვ. მაგალითად, „ლილიარი სხვათა ენაა, ქართულად ნინოფი ჰქვიან“, „მარტვილი ლათინთა ენაა, მოწამეს უწოდებენ, ხოლო მესხნი ყრმასა უწოდენ“, „კატა (ოთხფ.) ფრანგულია, ქართულად ციცა ჰქვიან“ (ტ. IV. გვ. გვ. 420, 447, 261) და სხვ.

პირდაპირ გასაოცარია, წერილის ავტორს ბრძენი ლექსიკოგრაფის ნაშრომიდან ის ადგილი კი არ მოაქვს, სადაც ნამდვილად კრივი იგულისხმება, არამედ სრულიად სხვა: „მუშტი ეწოდების რა მაგრად ხელთა თითნი შეიკუმშო და უკეთუ კაცსა ცერთა კერძო სცე ეწოდების მუშტი, უკეთუ ნეკის მხარეს დაჰკრა, ეწოდების მჯიღი“. აქ განმარტებულია მუშტი და მჯიღი, რასაც კრივთან ნაკლები დამოკიდებულება აქვს.

ეტყობა წერილის ავტორმა არ იცის, რომ სულხან-საბა ორბელიანს განმარტებული აქვს სიტყვა კრვა, რაც ფუძისეულია კრივისა: „კრვა ესე არს, რაიცა რასაც მოახვედრო: ისარი, თოფი თუ ქვა და რაიცა“ (ტ. IV, გვ. 392). აქ საგულისხმოა ის, რომ ჩვენი განმანათლებელი ამ „რაიცა“-ში უდავოდ ხელით კვრაზე, შერკინებაზე მიგვითითებს. ამიტომაც საბასეული კვრა ფუძისეულია კრივისა, ხოლო კრვი, კრივი, კვრას პარალელური ფორმაა, ეს კი ჩვეულებრივია ქართულში.

წერილის ავტორი კი ჯიუტად იმეორებს: „ამრიგად, დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ სიტყვა კრივი ასირიული წარმოშობისაა“-ო, ხოლო როგორ და რა საფუძვლით ამბობს ამას, არ ვიცით. ამიტომაც მისი გალაშქრება ი. გრიშაშვილისა და ზ. შერეზადიშვილის წინააღმდეგ უბრალო კრიტიკასაც ვერ უძლებს.

ჩვენ არას ვამბობთ ვანის არქეოლოგიურ მონაპოვარზე, რომელმაც თვალნათლივ დაადასტურა, რომ ჯერ კიდევ 2100-2200 წლის წინათ კრივი ქართული მოვლენაც ყოფილა.

უდავოა, როცა კაცი რაიმეს კვლევას შეუდგება, პირველ ყოვლისა საკუთარ ეროვნულ ნიადაგზე უნდა დადგეს. რა მომხიბლავია აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვები: „ჩვენ მხოლოდ საქართველოს ნიადაგზე ვმოქმედობდით. შედარებისთვის არ მივმიმართავს და მარტოოდენ ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათა და თქმულებათა ისტორიულ შესწავლას ვაქცევდით ყურადღებას. მეთოდის მხრივ ამგვარი გზა ერთადერთ საშვენიერო გზად მიგვაჩნდა“.

ბ. კვინიხიძემ ჩვენი მისამართითაც გამოთქვა შენიშვნა: „ლელოს“ ფურცლებზე დაბეჭდილ წერილში — „ღოროტოტის ღრიალში“ — ვ. სიდამონიძემ ისტორიული ფაქტი გააზვიადა და გააყალბაო.

გაზეთ „ლელოს“ 1970 წლის 26 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ ზემოხსენებულ წერილში ჩვენ ვწერდით, რომ კავკასიის მთავარმართებელი და ჯარების სარდალი პ. ციციანოვი (ციციშვილი) სპორტულ შეჯიბრებებს, მათ შორის მოკრივეთა შეხვედრებს თავისი წინამორბედებივით კი არ კრძალავდა, არამედ ხელს უწყობდა და თვითონაც მონაწილეობდა ამ კარგ საქმეში.

მკითხველო, რა არის აქ გაუგებარი? ბ. კვინიხიძე კი გვიკიჟინებს, რომ ეს არის გაზვიადება და ისტორიული ფაქტის გაყალბებაო, პ. ციციანოვი მოკრივეთა ასპარეზობაში, ანუ შეხვედრაში არ მონაწილეობდა, რადგან ის მოკრივე არ ყოფილაო.

გვინდა ვკითხოთ წერილის ავტორს, ვინა თქვა პ. ციციანოვი მოკრივე იყოო? ჩვენ მხოლოდ ის აღვნიშნეთ, რომ თბილისში რვაასიან წლებში მოეწყო ყეენობა და კრივში ასპარეზობა პ. ციციანოვის უშუალო ნებართვითა და ხელმძღვანელობით. განა ხელმძღვანელი მონაწილე არ არის ამა თუ იმ საქმისა?

ახლა კი გვინდა წერილის ავტორს ქართული ფილოლოგიის პატრიარქის აკადემიკოს კ. კეკელიძის შემდეგი სიტყვებით გამოვეთხოვოთ: „წავიდა ის დრო, როდესაც ყველაფერი ჩვენში უცხოურიდან... გამოჰყავდათ. ქართული ფილოლოგიის დღევანდელი მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს საკითხს უფრო დინჯად და ღრმად ჩავხედოთ“.

ვახტანგ სიდამონიძე.

# ენთუზიაზმი, მაია და ძველი პრობლემები

რათა მკითხველი შეცდომაში არ შევიყვანოთ, აქვე აღვნიშნავთ, რომ ლაპარაკია არა საერთაშორისო კლასის მოჭადრაკე მაია ჩიბურდანიძეზე, არამედ ბათუმელ მაია შაშიაშვილზე, რომელმაც გააზრებული კომბინაციური თამაშით აღაფრთოვანა მრავალრიცხოვანი მაყურებელი და საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში გამართულ მოზარდ ბადმინტონისტთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში.

ამ უაღრესად ნიჭიერმა, პერსპექტიულმა სპორტსმენმა ერთეულთა ფინალურ შეხვედრებში გადამწყვეტი მესამე პარტია მოუგო საკმაოდ ტექნიკურ მოთამაშე ლ. გელენავას (სოხუმი), ამის შემდეგ თახაგუნდელ ე. ბაიბურტიანთან (გოგონათა წყვილებში) და ი. კაზარიანთან (შერეულ წყვილებში) ერთად მან კიდევ ორჯერ მოიპოვა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლის უფლება.

ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა 14 წლის მერაბ წულაძემ (ბათუმი), რომელმაც II საპრიზო ადგილი დაიკავა და ჩამოიტოვა თბილისელი ფავორიტები: თ. სუხიშვილი, გ. მათიაშვილი, მ. დახილოვი, ლ. მურადიანი.

თელაველმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო მისთვის ახალი სახეობა. ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. სახიევმა, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო შეჯიბრების ორგანიზაციაში, დამსწრეთ აღუთქვა, რომ ბადმინტონის ხერგი კახეთის ამ უძველეს ქალაქშიც გაიხარებს და სექტემბრიდან ამოქმედდება ადგილობრივი სექციები.

მკითხველი, რომელიც თვალს ადევნებს ბადმინტონისტთა შეჯიბრებებს, ადვილად მიხვდება, რომ ძველი ტრადიციები დათმეს თბილისელმა და სოხუმელმა სპორტსმენებმა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის პირად ჩემპიონატში უმაღლესი ტიტულისთვის სწორედ ამ ორი ქალაქის წარმომადგენლები იბრძოდნენ.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: თუ ჩემპიონატი რესპუბლიკურია, სადღა არიან სხვა ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები? დიახ, ამ რამდენიმე წლის წინათ მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, გორის, რუსთავის, ჭიათურისა და გარდაბნის სრული გუნდებიც იღებდნენ მონაწილეობას. სსრ კავშირის მოზარდთა ნაკრებ გუნდში იყვნენ ჩვენი სპორტსმენები ი. კოადრატიევა, რ. ოკინაშვილი, ც. ბალაშვილი. თითქოს ყველაფერი ადასტურებდა სპორტის ამ ლამაზი სახეობის ფართოდ დანერგვის შესაძლებლობას, მაგრამ განათლების სამინისტროს სპორტულმა განყოფილებამ, იმ საბაბით, რომ ბადმინტონი არ იყო შეტანილი საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში, იგი რესპუბლიკის სპორტულ ღონისძიებათა კალენდრიდანაც ამოიღო. დღეისთვის მთელს რესპუბლიკაში ბადმინტონისტთა მხოლოდ ორი ჯგუფი ნუშაობს თბილისის 26 კომისრის ბავშვთა სპორტულ დარბაზში. ეს არის და ეს.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ მიმდინარე წლის დასაწყისში დასახა ბადმინტონის განვითარების გეგმები, მაგრამ, სამწუხაროდ, ის პუნქტები, რომლებიც განათლების სამინისტროს სპორტულ განყოფილებას ეხება, დღემდე შეუსრულებელი რჩება.

წლევანდელი წლის დასაწყისში უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 3 რესპუბლიკურმა სკოლამ (დირექტორი კ. გონაძე) გახსნა რამდენიმე ჯგუფი თბილისში, სოხუმსა და ბათუმში. ეს მისასალმებელი და დროული იყო (ზემოაღნიშნული ბათუმელი სპორტსმენები სწორედ ამ სკოლის წარმომადგენლები არიან), მაგრამ განვიხილოთ მედლის მეორე მხარეც: დებულებით, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლაში უნდა იყვნენ მხოლოდ მაღალი თანრიგის სპორტსმენები. საკითხავია, შემდეგში საიდან უნდა მიიღოს ამ სკოლამ შევსება თუ რესპუბლიკაში მოსწავლეთა სპორტული სექციები არ გაიხსნება?

ენთუზიაზმი კარგია. საბედნიეროდ, ჩვენ ბევრი ენთუზიასტი გვყავს, რომლებიც ხელს უწყობენ მასობრივი ბადმინტონის განვითარებას. ხოლო რაც შეეხება სპორტულ ბადმინტონს, იგი მარტო ენთუზიასტებს ვერ დაეყრდნობა, მას დახურული მოედანი სჭირდება, მისი განვითარების საკითხი ისევ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებისა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების თავმჯდომარეებმა, ბავშვთა ჯანმრთელობით დაინტერესებულმა ფიზკულტურულმა მუშაკებმა უნდა გადაწყვიტონ.

გ. სამსონაძე,
საქართველოს ბადმინტონის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.

# სპორტსმენთა სამჭედლო

ბოლნისის ბავშვთა სპორტსკოლა (დირექტორი ზ. ყურაშვილი) მოსწავლეთა ფიზიკური წრთობის შესანიშნავი კერაა. აქ ასობით ბავშვი ეუფლება ფეხბურთის, ჭიდაობის, კალათბურთის, ველოსპორტის, მაგიდის ჩოგბურთისა და სხვა სახეობათა რთულ ტექნიკას. ნორჩებს ამეცადინებენ მწვრთნელები ო. და ი. უგრეხელიძეები, ო. ხარაძე, კ. ბრეგვაძე, ა. ქუქჩიშვილი და ზ. ყურაშვილი.

ნაყოფიერად მუშაობს ფეხბურთელთა სექცია, რომელსაც ო. უგრეხელიძე ხელმძღვანელობს. სექციაში 60-მდე მოსწავლეა გაერთიანებული. აქ აიდგეს ფეხი შემდეგში ცნობილმა სპორტსმენებმა თ. სტეფანიამ, ფ. რეხვიაშვილმა და სხვ.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს სპორტის ოსტატი ქუქჩიშვილი ავარჯიშებს. მისი შეგირდები წარმატებით მონაწილეობენ საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. მაგალითად, ა. ბეალავამ „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა თავისუფალ ჭიდაობაში.

სპორტსკოლის აღსაზრდელებმა წლეულს მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებებში სპორტის ექვს სახეობაში იასპარეზეს.

ი. იმერლიშვილი,
სპორტის ოსტატი.

# ლამაზდება, მშვენდება

ჭიათურაში ყველაფერმა სახე იცვალა, ყველაფერი ლამაზდება, მშვენდება. კეთილმოეწყო ქუჩები, გაკეთდა ახალი ხიდები, გადასასვლელები, წყაროები, განსაკუთრებით დიდი მუშაობა მიმდინარეობს სპორტული ბაზების აღდგენისა და მშენებლობისთვის.

პირველი იერიში სპორტკომიტეტის ბაზებზე მიიტანეს. ამჟამად ღია აუზი და მძლეოსნური სექტორები შენდება. მოეწყობა ელექტროგანათება, გასახდელები, საშხაპეები და სხვა დამხმარე სათავსოები, აქვე იქნება საჰყუმპალაო.

ამ აუზებში გაიმართება შეჯიბრებები მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩასაბარებლად.

შ. ტატიშვილი.

ჭიათურა.





ზაფხულია, ცხელა, თოვლზე და ყინულზე ახლა არავინ ფიქრობს, მაგრამ ქვეყნის უძლიერესი მოციგურავეები უკვე ემზადებიან მომავალი ზამთრის სეზონისთვის. და, თუმცა მორიგ ოლიმპიურ თამაშებამდე ჯერ დიდი დროა, ყინულოვანი ბილიკების ოსტატთა მთელი ყურადღება „თეთრი ოლიმპიადისთვის“ მზადებისკენაა მიპყრობილი.

ეს განსაკუთრებით ალექსანდრე საფრონოვზე ითქმის. მომავალი ოლიმპიადის პროგრამაში მოციგურავე ვაჟებისთვის შეტანილია ახალი დისტანცია — 1000 მეტრი, ეს კი სწორედ საფრონოვის დისტანციაა.

# მოციგურავეები უკვე ემზადებიან

გასულ სეზონში სპრინტერთა მსოფლიო ჩემპიონატში საფრონოვმა 1000 მეტრზე შეჯიბრებაში ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო ზამთრის დამლევს მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

გალინა სტეპანსკაიასა და მის მწვრთნელს ი. ჩისტიაკოვს თავისი გეგმები აქვთ: მომავალ სეზონში კარგ შედეგს მიაღწიონ მრავალჭიდში და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ 3000-მეტრიან დისტანციას (ესეც ოლიმპიური თვალსაზრისით).

აი, რატომ იწყებენ უძლიერესი საბჭოთა მოციგურავეები ასე ადრიანად წინასასეზონო მზადებას.

სურათებზე (მარცხნიდან): მსოფლიო რეკორდსმენი 1000-მეტრიან დისტანციაზე ა. საფრონოვი გორგოლაჭებიანი ციგურებით ვარჯიშობს; გ. სტეპანსკაია თავის მწვრთნელ ა. ჩისტიაკოვთან ერთად მორიგი საწვრთნელი მეცადინეობის დაწყებამდე.

ვ. გალაკტიონოვის ფოტოები.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

# I ლიგა

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 16 | 10 | 3 | 3 | 23—9 | 23 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 16 | 8 | 4 | 4 | 25—16 | 20 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 16 | 8 | 3 | 5 | 25—15 | 19 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 16 | 7 | 5 | 4 | 18—12 | 19 |
| „კუზბასი" (კემეროვო) | 16 | 8 | 3 | 5 | 19—19 | 19 |
| „დინამო" (მინსკი) | 16 | 7 | 4 | 5 | 22—18 | 18 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 16 | 6 | 6 | 4 | 19—16 | 18 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 17 | 7 | 4 | 6 | 16—19 | 18 |
| „ტავრია" (სიმფეროპოლი) | 16 | 7 | 3 | 6 | 28—21 | 17 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 16 | 5 | 7 | 4 | 11—10 | 17 |
| „ზვეზდა" (პერმი) | 16 | 6 | 4 | 6 | 19—22 | 16 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 16 | 6 | 4 | 6 | 15—19 | 16 |
| „პამირი" (დუშანბე) | 16 | 5 | 5 | 6 | 19—16 | 15 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 16 | 6 | 3 | 7 | 18—19 | 15 |
| „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) | 16 | 3 | 8 | 5 | 14—14 | 14 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 16 | 5 | 3 | 8 | 20—26 | 13 |
| „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 16 | 4 | 4 | 8 | 17—25 | 12 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 17 | 3 | 6 | 8 | 15—23 | 12 |
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 16 | 3 | 6 | 7 | 19—29 | 12 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 16 | 2 | 5 | 9 | 14—28 | 9 |

# II ლიგა, ზონა

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (ვოლოგდა) | 18 | 10 | 5 | 3 | 30—14 | 25 |
| „ისკრა" (სმოლენსკი) | 17 | 10 | 3 | 4 | 30—15 | 23 |
| „ტორპედო" (ვლადიმირი) | 17 | 10 | 3 | 4 | 24—12 | 23 |
| „დინამო" (ბათუმი) | 17 | 7 | 8 | 2 | 20—8 | 22 |
| „ხიმიკი" (ძერჟინსკი) | 18 | 9 | 4 | 5 | 27—19 | 22 |
| „დილა" (გორი) | 17 | 8 | 3 | 6 | 32—24 | 19 |
| „ურალანი" (ელისტა) | 17 | 7 | 5 | 5 | 21—16 | 19 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 17 | 8 | 2 | 7 | 24—19 | 18 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 17 | 4 | 10 | 3 | 29—25 | 18 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 17 | 8 | 2 | 7 | 22—18 | 18 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 17 | 6 | 6 | 5 | 19—25 | 18 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 17 | 7 | 2 | 8 | 17—18 | 16 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 17 | 5 | 6 | 6 | 22—25 | 16 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 17 | 5 | 5 | 7 | 14—18 | 15 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 17 | 5 | 4 | 8 | 19—24 | 14 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 17 | 5 | 4 | 8 | 15—22 | 14 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 17 | 5 | 3 | 9 | 18—26 | 13 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 17 | 3 | 6 | 8 | 13—31 | 12 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 17 | 3 | 4 | 10 | 7—22 | 10 |
| „ფოლადი" (ბუმგაითი) | 17 | 3 | 1 | 13 | 12—34 | 7 |

# WM-74

## ყველა გოლი

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე უხვგოლიანი 1954 წელი იყო. 16-მა ფინალისტმა V ჩემპიონატში 26 მატჩი ჩაატარა და გაიტანა 140 გოლი. ეს რეკორდი ჯერჯერობით ხელუხლებელია.

შედეგიანობის მხრივ II ადგილზეა შვეციის ჩემპიონატი (1958 წ.), რომელშიც ასევე 16 გუნდი თამაშობდა, მაგრამ მათ გაცილებით მეტი შეხვედრა ჩაატარეს (35). შვეციის სტადიონებზე გატანილ იქნა 126 გოლი.

III ადგილზეა ახლახან დამთავრებული ჩემპიონატი: 97 გოლი 38 მატჩში.

აი, როგორაა განაწილებული ეს გოლები ცალკეულ მოთამაშეებზე:

ლატო (პოლონეთი) — 7
ა. შარმაჩი (პოლონეთი) — 5
ნეესკენსი (ჰოლანდია) — 4
რეპი (ჰოლანდია) — 4
ედსტრიომი (შვეცია) — 4
მიულერი (გფრ) — 4
ბაევიჩი (იუგოსლავია) — 3
დეინა (პოლონეთი) — 3
რიველინო (ბრაზილია) — 3
ჰაუსმანი (არგენტინა) — 3
კრუიფი (ჰოლანდია) — 3
ბრაიტნერი (გფრ) — 3
ოვერატი (გფრ) — 2
ჯორდანი (შოტლანდია) — 2
სენონი (ჰაიტი) — 2
ჟაირზინიო (ბრაზილია) — 2
კარასი (იუგოსლავია) — 2
შურიაკი (იუგოსლავია) — 2
სანდბერგი (შვეცია) — 2
იასალდე (არგენტინა) — 2
შტრაიხი (გდრ) — 2

თითო გოლი გაიტანეს: ლორიმერმა (შოტლანდია), რივერამ, ბენეტიმ, ანასტაზიმ, კაპელომ (ყველა — იტალია), ერედიამ, ბაბინგტონმა, აიალამ, ბრინდიზიმ (ყველა — არგენტინა), ჰოფმანმა, შპარვასერმა (ორივე — გდრ), აჰუმადამ (ჩილი), კულმანმა, ბანჰოფმა, გრაბოვსკიმ, ჰიონესმა (ყველა — გფრ), ჯაიჩმა, კატალინსკიმ, ბოგიჩევიჩმა, ობლაკმა, პეტკოვიჩმა (ყველა — იუგოსლავია), გორგონმა (პოლონეთი), ბონევმა (ბულგარეთი), ვალდომირომ (ბრაზილია), დე იონგმა, კროლმა, რეესენბრინკმა (ყველა — ჰოლანდია), ტორსტენსონმა (შვეცია), პავონიმ (ურუგვაი).

3-ჯერ ბურთი საკუთარ კარში გავიდა. ამ „ავტოგოლების" ავტორები არიან: კურანი (ავსტრალია), პერფიუმო (არგენტინა), კროლი (ჰოლანდია).

## X ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გფრ | 7 | 6 | 0 | 1 | 13—4 | 12 |
| ჰოლანდია | 7 | 5 | 1 | 1 | 15—3 | 11 |
| პოლონეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 16—5 | 12 |
| ბრაზილია | 7 | 3 | 2 | 2 | 6—4 | 8 |
| შვეცია | 6 | 2 | 2 | 2 | 7—6 | 6 |
| გდრ | 6 | 2 | 2 | 2 | 5—5 | 6 |
| იუგოსლავია | 6 | 1 | 2 | 3 | 12—7 | 4 |
| არგენტინა | 6 | 1 | 2 | 3 | 9—12 | 4 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 3—1 | 4 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 5—4 | 3 |
| ჩილი | 3 | 0 | 2 | 1 | 1—2 | 2 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2—5 | 2 |
| ურუგვაი | 3 | 0 | 1 | 2 | 1—6 | 1 |
| ავსტრალია | 3 | 0 | 1 | 2 | 0—5 | 1 |
| ჰაიტი | 3 | 0 | 0 | 3 | 2—14 | 0 |
| ზაირი | 3 | 0 | 0 | 3 | 0—14 | 0 |

## პრიზები

7 ივლისს, ფინალური მატჩის შემდეგ გფრ-ის პრეზიდენტმა ვ. შეელმა „ფიფას ოქროს თასი" გადასცა მსოფლიოს ახალი ჩემპიონის კაპიტანს ფრანც ბეკენბაუერს. გფრ-ის ფეხბურთელებმა მიიღეს, აგრეთვე, სპეციალური პრიზი კორექტული თამაშისთვის.

თასი — „ყველაზე შედეგიან გუნდს" — გადაეცათ პოლონეთის ფეხბურთელებს, რომლებმაც 7 მატჩში 16 ბურთი გაიტანეს. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი მიიღო ლატომ (პოლონეთი).

სულ ჩემპიონატის მატჩებს გფრ-ის სტადიონებზე 1.880 ათასი მაყურებელი დაესწრო. არბიტრებმა უხეშობისთვის მოედნიდან გააძევეს 5 ფეხბურთელი, 80 სპორტსმენმა მიიღო გაფრთხილება. დაინიშნა 8 პენალტი, მათ შორის 2 მოიგერია პოლონელმა მეკარემ ტომაშევსკიმ.

ტურნირის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტებმა შეადგინეს მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები, რომელშიც შევიდნენ: მეკარე — რ. ჰელსტრიომი (შვეცია), მცველები — ბ. ფოგტსი, ფ. ბეკენბაუერი, პ. ბრაიტნერი — (ყველა — გფრ), ლ. პერეირა (ბრაზილია), ნახევარმცველები — ი. ნეესკენსი (ჰოლანდია), კ. ბაბინგტონი (არგენტინა), ვ. ოვერატი (გფრ), თავდამსხმელები — ჯ. რეპი, ი. კრუიფი (ორივე — ჰოლანდია), რ. გადოხა (პოლონეთი).



ჩემპიონატის მსვლელობისას ჟურნალისტებმა, მწვრთნელებმა და სპეციალისტებმა რამდენიმეჯერ შეადგინეს მსოფლიოს იდეალური ნაკრები. იმის მიხედვით, თუ რომელი გუნდი ითამაშებდა კარგად, იცვლებოდა ნაკრების სახე, მაგრამ ყველა სიმბოლურ ნაკრებში ცენტრალური მცველის პოსტი გფრ-ის ფეხბურთელთა კაპიტანს ფრანც ბეკენბაუერს ჰქონდა მინდობილი. მართლაც, თანამედროვე ფეხბურთის ამ ჭეშმარიტმა დიდოსტატმა ჩემპიონატის ყველა მატჩი ერთნაირად მაღალ დონეზე ჩაატარა.

სურათზე: ბეკენბაუერი ინტერვიუს აძლევს ჟურნალისტებს.



გუშინ ისინი მსოფლიოს საფეხბურთო ცხოვრების ყურადღების ცენტრში იყვნენ და ღირსეულად იცავდნენ თავიანთი ქვეყნის — ჰოლანდიის სპორტულ ღირსებას. დღეს კი, როცა დამთავრდა მსოფლიოს X ჩემპიონატი, ყოველდღიურ ცხოვრებას უბრუნდებიან, მაგრამ, სხვა თანამემამულეებისგან განსხვავებით, სამშობლოში კი არ გაემგზავრებიან, არამედ ესპანეთში. ეს გათვალისწინებულია კონტრაქტის ერთ-ერთი მუხლით, რომლის მიხედვითაც „ბარსელონის" მწვრთნელი რ. მიხელსი და მოთამაშე ი. კრუიფი ჩემპიონატის დამთავრებისთანავე „თავიანთ" კლუბს უნდა დაუბრუნდნენ.

სურათზე: რ. მიხელსი და ი. კრუიფი.

### კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ

დასავლეთგერმანელ ქურდებს, რომლებმაც პოლონეთ — იუგოსლავიის მატჩის 200 ბილეთი მოიპარეს, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, რადგან „შავ ბაზარზე" ამ შეხვედრის 700 ბილეთი გასაყიდი დარჩა. სამაგიეროდ, დიდი ბიზნესი გაკეთდა გდრ — ჰოლანდიის გუნდების შეხვედრაზე. ბილეთი უადგილოდ 100 მარკა ღირდა, ადგილით კი — 250.

### პირველი მსხვერპლი

ჰოლანდია — გდრ-ის მატჩის დროს ერთი ჰოლანდიელი მაყურებელი ცუდად შეიქნა და საავადმყოფოში გადაიყვანეს. იგი რამდენიმე საათში გარდაიცვალა გულის ინფარქტით.

### თავმდაბალი კრუიფი

ერთ-ერთი ინტერვიუს დროს კრუიფს ჰკითხეს: ვთქვათ, დაშავდით და თამაში ვეღარ შეძელით, დაეტყობა თუ არა ეს დანაკლისი ჰოლანდიის ნაკრებსო?

— არა მგონია, — უპასუხა კრუიფმა.

თავმდაბალი სპორტსმენის პასუხს არ დაეთანხმა არგენტინის ნაკრების მწვრთნელი კაპი, რომელიც იმ დროს იქ იყო.

— ეს კატასტროფა იქნებოდა ჰოლანდიელთათვის! — შესძახა მან.

# სპორტი უყვართ

ჭიათურის მარგანტრესტის ელექტრომექანიკურ სახელოსნოში (დირექტორი გ. ჩხეიძე, ფიზკულტურის მეთოდისტი რ. მაჩაიძე) შრომაც უყვართ და სპორტიც. აქ საკუთარი ძალებით მოაწყვეს კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, მაგიდის ჩოგბურთისა და მძლეოსნობის ბაზები, სადაც სამუშაოს დაწყებამდე, შესვენებისას და დასვენების დღეებში ვარჯიშობენ, ერთმანეთს ეჯიბრებიან, მშდ კომპლექსის ნორმატივებს აბარებენ.

დამთავრდა საწარმოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში. ფრენბურთში I ადგილზე გავიდა საზეინკლო საამქრო, მაგიდის ჩოგბურთში იმარჯვეს სამოდელო-სამხატვრო საამქროს წარმომადგენლებმა.

„მოხუცი" სპორტსმენები დიდი ინტერესით ელიან მინი-ფეხბურთში შეჯიბრებას, რომელიც სპარტაკიადის პროგრამაშია შეტანილი და უფროსებისთვის პირველად ტარდება ჭიათურაში.

შ. ტატიშვილი.

# თასი — მეაბრეშუმეებს

დამთავრდა მახარაძის „განთიადის" რაიონული სპარტაკიადა. პროგრამაში იყო 8 სახეობა. ბრძოლაში ჩაება 16 კოლექტივი.

საერთო I ადგილი და საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ კ. ლესელიძის სახელობის თასი მიეკუთვნა აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივს. II ადგილზეა მალაროთა სამმართველოს ნაკრები, III — რკინა-ბეტონის ქარხნის კოლექტივი.

სპარტაკიადის პროგრამაში იყო, აგრეთვე, შეჯიბრება მშდ კომპლექსის მრავალჭიდში. ამ კომპლექსის ნორმატივები ასობით მონაწილემ ჩააბარა.

შ. კილურაძე,
მახარაძის „განთიადის" რაისაბჭოს თავმჯდომარე.

# წარმატებით და... წარუმატებლად

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა მსტენდურეები საფრანგეთის ქალაქ ანტიბაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში გამოვიდნენ წარმატებით და... წარუმატებლად. ამ აზრისაა 1968 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. პეტროვი.

მრგვალ სტენდზე შეჯიბრებაში სათანადო სიმაღლეზე ვიდექით. და მაინც, თბილისელ ტარიელ ჟღენტს შეეძლო უკეთ გამოსვლა. იგი დამაჯერებლად მიიწევდა წინ, ოქროს მედლისკენ, მაგრამ ბოლო სერიაში დასანანი შეცდომა დაუშვა. როცა ტაშის ხმა გაიგონა და ეგონა, რომ მაყურებლები ამით ფრანგ პეტიპიეს გამარჯვებას აღნიშნავდნენ, ტარიელი შედრკა. არადა, ოვაციის მიზეზი სულ სხვა რამ ყოფილა. მაგრამ ტარიელი ვეღარ მოერია თავს და კიდევ ორი შეცდომა დაუშვა. აი, ასე იქცა იგი ვიცე-ჩემპიონად. სამაგიეროდ, გამარჯვებული გუნდისთვის ტარიელმა ბრწყინვალედ იასპარეზა.

ადგილიდან სროლაში კი არც ისე სახარბიელო მდგომარეობაა. აქ დაბალი შედეგი აჩვენა გამოცდილმა მოსკოველმა სპორტსმენმა ალექსანდრე ალიპოვმა. თუმცა, ჩემი აზრით, მისი მარცხი კანონზომიერია. ალიპოვი უწინდებური მომთხოვნელობით აღარ ეკიდება საკუთარ თავს, ცუდად ვარჯიშობს.

მოულოდნელი იყო კიეველი იულია კლეკოვას წარუმატებლობაც. საბჭოთა კავშირისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა XI ადგილი დაიკავა, თუმცა კარგად იყო მომზადებული. სამაგიეროდ, ქებას იმსახურებს ტალინელი პეეტერ ვეჰმი, რომელიც დინჯად, აუღელვებლად ისროდა. ვეჰმი რომ ცეცხლის ხაზზე გამოვიდა, სწორედ იმ დროს ძლიერი ქარი ამოვარდა, მაგრამ სპორტსმენმა მთელი სერია უშეცდომოდ ჩაატარა.

• • •

12-14 ივლისს მოსკოვში საკავშირო ჩემპიონატი ტარდება. შემდეგ საბჭოთა სპორტსმენები დაიწყებენ მზადებას მსოფლიო პირველობისთვის, რომელიც სექტემბერში შვეიცარიაში ეწყობა.

# ქალიშვილებმა ვერ უშველეს

ამ დღეებში ამერიკის ქალაქ ოსტინში დამთავრდა აშშ-სა და სსრ კავშირის იუნიორ მძლეოსანთა მატჩი, რომელიც ფაქტიურად მომავალი ოლიმპიადისთვის რეზერვის შემოწმება იყო.

საბჭოთა ქალიშვილებმა მასპინძლებს გამარჯვების იმედი გადაუწურეს, პირველივე დღეს საგრძნობლად დაწინაურდნენ და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც — 82:64.

განსაკუთრებით კარგად გამოვიდა ლ. უმანცკი, რომელმაც 100 მეტრზე რბენაც მოიგო (11,54) და 200 მეტრზე ასპარეზობაც (24,34). 100 მეტრზე თარჯრბენში I და II ადგილები სტუმრებს ლ. სივერსა (13,75) და ნ. მორგულინას (13,95) ხვდათ. გ. პრილეპინა 183 სმ სიმაღლეზე გადახტა... მათმა თანაგუნდელმა ვაჟებმა კი წარმატება ვერ მოიპოვეს.

ს. აზრამოვმა 1500 მეტრზე რბენაში სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა (3.40,76), მაგრამ მაინც II ადგილს დასჯერდა, ვინაიდან ამერიკელმა თ. ბაიერსმა 1 წამი მოუგო. პირველ დღეს ერთადერთი სახეობა, რომელშიც წარმატება სტუმრებს (ი. ილკა და ნ. მატვეევი) ხვდათ, 10 კილომეტრზე სპორტული სიარული იყო.

ვაჟთა გუნდების შეჯიბრება მასპინძლებმა დიდი უპირატესობით (133:99) მოიგეს. ამერიკელებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ კ. უოთსონი. ქალიშვილთა შორის 800 მეტრზე რბენაში მან ისეთი შედეგი (2.03,69) აჩვენა, რომ საუკეთესო მორბენალ ქალებსაც შეშურდებოდათ.

მატჩის საერთო ანგარიშია 197:181 აშშ-ს იუნიორთა სასარგებლოდ.

უცხოეთის პრესა ქართველი სპორტსმენების შესახებ

# ჭადრაკის დედოფლის მრავალფეროვანი ინტერესი...

სპორტული მიმომხილველები სოციალისტურ ქვეყნებში დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს ქართული სპორტის წარმატებებს, ქართველ სპორტსმენთა მიღწევებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჟურნალმა „ფრაიე ველტმა" დიდი ფოტონარკვევი მიუძღვნა ნონა გაფრინდაშვილს. იგი იწყება საერთაშორისო ოსტატის ედიტ კელერ-ჰერმანის (გდრ) შემდეგი სიტყვებით: „თუ ქალთა ჭადრაკის განვითარებას დაუვიწყარი ვერა მენჩიკის სახელს უკავშირებენ, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ათწლეულმა, როცა ნონა გაფრინდაშვილმა მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვა, მისი ნიშნის ქვეშ ჩაიარა. ამიტომ არის, რომ ნონა მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი თავის სამშობლოში, უდიდესი პატივისცემითაა გარემოსილი. იგი უდავოდ სსრ კავშირის ყველაზე პოპულარულ სპორტსმენ ქალთა რიცხვს მიეკუთვნის. პირადად მე მასთან მაკავშირებს გულითადი მეგობრობა, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა ოლიმპიადებსა და ტურნირებში შეხვედრების დროს. მისი პორტრეტი სრული არ იქნება, თუ არ დავსძენთ, რომ ნონა ჭეშმარიტად სიყვარულის ღირსი, თავმდაბალი ადამიანია".

ნარკვევის ავტორი ჰაინც მახაჩეკი წერს: „ნონა ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებლის ტერენტი გაფრინდაშვილის ოჯახში დაიბადა. ხუთი წლისამ უკვე იცოდა ჭადრაკის ფიგურების გადაადგილება. განა შეიძლება სხვაგვარად მომხდარიყო ოჯახში, სადაც ყველა ჭადრაკს თამაშობდა, ხოლო ნონას ხუთი ძმიდან ორი პირველთანრიგოსანი იყო?

უკვე 1946 წელს ნონამ მეჯთამეჯეში გამართულ ტურნირში ოცდაათ მონაწილეს შორის მეხამე ადგილი დაიკავა!

მიუხედავად ამისა, მაშინ ოცნებითაც კი ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გაფრინდაშვილების ერთადერთი ასული ოდესმე მსოფლიოთ მწვერვალებს დაიპყრობდა. ჩეხოსლოვაკიელ მსოფლიო ჩემპიონს ვერა მენჩიკს (იგი ლონდონში დაიღუპა ფაშისტთა საჰაერო თავდასხმის დროს) 1927 წლიდან ჩვიდმეტი წლის განმავლობაში არ დაუთმია დედოფლის გვირგვინი. ნონა გაფრინდაშვილიც მენჩიკის მსგავსად, უკვე არა ერთი და ორი წელია ბევრად მაღლა დგას თავის მეტოქეებზე. 1962 წელს ნონა გაფრინდაშვილმა ანგარიშით 9:2 დაამარცხა ე. ბიკოვა და 21 წლისამ მოიპოვა ჭადრაკის ისტორიაში ქალთა შორის მეხუთე მსოფლიო ჩემპიონის სახელი. მოსკოველმა ჟურნალისტმა ალა კუშნირმა სამგზის — 1965, 1969 და 1972 წლებში სცადა ქართველი სპორტსმენისთვის ეს ტიტული ჩამოერთმია, მაგრამ ამაოდ.

ნონა საუცხოო მოჭადრაკეა. იგი წარმატებით მონაწილეობს ვაჟთა ტურნირებში ლეგენდარული მენჩიკის მსგავსად, რომელიც თვით ეივეს, ბოტვინიკს, კაპაბლანკას, ალიოხინს ებრძოდა ჭადრაკის დაფასთან. ესპანეთში გამართულ ვაჟთა ტურნირში გამარჯვებულმა, იუგოსლაველმა კურაიცამ მხოლოდ ნონა გაფრინდაშვილთან შეხვედრაში ჩაიწერა „0".

ეს ახალგაზრდა შავთვალა ქალი, რომელიც ამ წარმატებათა წლებში გათხოვდა კიდეც და ვაჟიც შეეძინა, ინტერესთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. იგი ჰარმონიულად უხამებს სპორტულ საქმეებსა და გატაცებებს უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობასა და პირად ცხოვრებას. ნონა ოსტატურად თამაშობს მაგიდის ჩოგბურთს, რაც სხვათა შორის, ბევრჯერ აღიარა იუგოსლავიის „პირველმა დაფამ" სვეტოზარ გლიგორიჩმა.

სპორტის დამატებითი სახეობებს დამქანცველ ტურნირებში მოთამაშე მოჭადრაკისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს ჯერ კიდევ ნონას ძველმა მწვრთნელმა მიხეილ შიშოვმა აღნიშნა. და ნონამ გამოსცადა სპორტული ვარჯიშის სასწაულებრივი ზეგავლენა მარათონული ტურნირების ფსიქოფიზიკურ დატვირთვაზე, რომლებიც ხშირად კვირეებსა და თვეებს მოიცავდა. ბუნებრივია, ნონას წარმატების საიდუმლოებათა ასახსნელად ეს არ კმარა. ბევრად უფრო დიდი როლი ითამაშა განსაკუთრებულმა ნიჭმა, მუდმივმა უდიდესმა მონდომებამ, დაუღალავმა მუშაობამ ოსტატობის შემდგომი სრულყოფისთვის, საფუძვლიანმა თეორიულმა მომზადებამ და მეცადინეობაში გატარებულმა უამრავმა საათმა, რამაც ჩამოაყალიბა ჭადრაკის დედოფლის დღევანდელი სახე".

მეორე ნომერში „ფრაიე ველტი" იმავე რუბრიკით — „სპორტსმენთა პორტრეტები" — ბეჭდავს ფოტონარკვევს ვიქტორ სანეევის შესახებ. 1972 წლის ოლიმპიადის მეორე პრიზიორი სამხტომში, გდრ-ის სპორტსმენი იორგ დრემელი იხსენებს: „ვიქტორ სანეევი ბევრ შეჯიბრებაში ჩემი კონკურენტი იყო: ჯერ 1970 წელს სტოკჰოლმში, ევროპის თასის გათამაშებაში, სადაც მე გავიმარჯვე, მერე ტურინის უნივერსიადაში, როცა მან დამამარცხა, შემდეგ, 1971 წელს, ჰელსინკში, სადაც მე ევროპის ჩემპიონი გავხდი, და დასასრულ მიუნხენში, სადაც მან 4 სანტიმეტრით მაჯობა. ვიქტორ სანეევი ყველაზე უკეთესი სამხტომელია მათგან, ვისაც კი მე ოდესმე შემხვედრია. ყველა, ვისაც კი მისთვის თვალი უდევნებია, ბევრ რამეს ისწავლიდა: შეჯიბრებისთვის მზადებას, შეჯიბრების ორგანიზაციას, ტექნიკურ სრულყოფას ხტომის დროს... ესაა სპორტსმენი, რომელთან ერთადაც მუდამ დიდი სიამოვნებით გამოდიხარ სტარტზე ხელახლა".

„პორტრეტის" ავტორი ფოლკერ კლიუგე წერს: „ვიქტორ სანეევმა, „სოხუმელმა კენგურუმ", თავის ცხოვრებაში კიდევ ერთი კარგი ნახტომი გააკეთა: 1972 წლის ოქტომბერში დაიბრუნა დაკარგული მსოფლიო რეკორდი — 17,44 მ. ახალი წარმატება: ვიქტორი დაოჯახდა, ცოლად შეირთო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ტანია ხვარცკაია. მოხდა ისე, რომ ვიქტორს უკვე ვეღარ დაუძახებენ სოხუმელ კენგურუს. იგი თბილისში გადავიდა. 29 წლის აგრონომი ახლა უკვე იქ ცხოვრობს და ვარჯიშობს.

მეხიკოს და მიუნჰენის ოლიმპიურ ჩემპიონს ხშირად ადარებენ ავსტრალიურ კენგურუს, თუმცა მეგობრების აზრით, ლომს უფრო ჰგავს. იმიტომ კი არა, რომ პატივმოყვარეა და ლომივით იბრძვის, არამედ პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ საოცრად მკაცრია თავისი თავის მიმართ.

ვიქტორი სწავლობდა სკოლაში, რომელიც 100 კილომეტრითაა დაშორებული სოხუმიდან. და იქ ინტერნატში ცხოვრობდა. საზაფხულო არდადეგებზე შინ არ მიდიოდა, ერთ წყვილ სპორტულ ფეხსაცმელს იყიდდა და დილიდან საღამომდე სპორტულ მოედანზე დარბოდა. ჯერ რბენით იჯერებდა გულს, მერე ხტომაში ვარჯიშს იწყებდა. ვარჯიშობდა სიგრძეზე ხტომაში, ცალ ფეხზე ხტომაში, იმეორებდა სამჯერ, ხუთჯერ, ათჯერ, ხტუნავდა მონაცვლეობით, ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ფეხზე. ვიქტორმა ამოირჩია დისციპლინა — სამხტომი, რომელიც „ჰარმონიულობით" მოეწონა. იმ დღეებში იგი ქანცის გაწყვეტამდე ვარჯიშობდა ხტომაში.

სანეევმა ჭეშმარიტ მებრძოლად გამოიჩინა თავი, როცა ექიმებმა ურჩიეს ავადმყოფობის გამო სპორტი მიეტოვებინა. არტროზი აღმოუჩინეს. ამ მომენტიდან იგი იბრძოდა არა მარტო ტემპისთვის, ტექნიკისა და სანტიმეტრებისთვის, არამედ პირველ ყოვლისა ებრძოდა საკუთარ თავს. სოხუმის სტადიონის დარაჯი მოხუცი ქალი დღესაც იხსენებს, როგორ „დახტოდა კალიასავით დილიდან საღამომდე ის „საძაგელი ვიტკა". დარაჯი თურმე იმის გამო იძულებული იყო მუდამ ყველაზე გვიან წასულიყო შინ.

პირველმა წარმატებებმა დაადასტურა ვიქტორის მიერ არჩეული გზის სისწორე. ერთმა საბჭოთა გაზეთმა დაწერა: „ვიქტორ სანეევი — „სოხუმელი კენგურუ". დედა ძალიან გაჯავრდა ამის გამო, მაგრამ ვიქტორმა დააწყნარა, როცა ბრემის „ცხოველთა ცხოვრებაში" წაუკითხა შემდეგი სიტყვები: „დიდი რუხი კენგურუ 6 მეტრ სიგრძეზე ხტება".

— აბა წარმოიდგინე, სამჯერ ექვს მეტრზე რომ გადავხტე. ეს ხომ თვრამეტი მეტრია. რას იტყვი, ურიგო იქნება? — ჰკითხა ვიქტორმა დედას.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" ქართველ სპორტსმენთა წარმატებებისადმი მიძღვნილ წერილში წერდა: ისეთი სპორტსმენებისგან, როგორიც არიან შოთა ჩოჩიშვილი, ლევან თედიაშვილი, ზურაბ საკანდელიძე და ვიქტორ სანეევი, ახალგაზრდობას შეუძლია მაგალითი აიღოს.

ა. ბერშენბლიტი.



დაბრკოლება.

ვ. სოკოლოვის ფოტო.

# რეკორდები მზადების პერიოდშიც იბადება

ევროპელი მძლეოსნების ყველა სტარტი ახლა კონტინენტის ჩემპიონატისთვის (რომი, 3-8 სექტემბერი) მზადების ნიშნით ტარდება და შედეგებიც უმეტესად კარგია. ბევრი ქვეყნის მძლეოსნებმა ძალების უფრო მაღალ დონეზე შემოწმების მიზნით ოკეანისგაღმელი სპორტსმენებიც მიიწვიეს. მაგალითად, ამას წინათ ვარშავაში გამართულ ერთ შეჯიბრებაში კუბელი მძლეოსნებიც მონაწილეობდნენ. მეორედ პოლონელები ინგლისელ და კანადელ ათლეტებს შეეჯიბრნენ, ხოლო ამ დროისთვის კუბელები ჩეხოსლოვაკიას ეწვივნენ. ფინეთსა და შვეციაში გამართულ ტურნირებში აშშ-ს სპორტსმენებიც გამოდიოდნენ. ევროპის ქვეყნების მძლეოსანთა მატჩებს ხომ ნუღარ იტყვით.

ამ შეჯიბრებებში დამყარდა ბევრი ეროვნული, რამდენიმე კონტინენტისა და მსოფლიოს რეკორდი. 400 მეტრზე რბენაში ი. შევინსკას (პოლონეთი) მიერ მსოფლიო რეკორდის დამყარების ამბავი ხომ მსოფლიოს იმავე დღეს მოედო.

ევროპის ჩემპიონატისთვის განსაკუთრებით ენერგიულად ემზადებიან გდრ-ის მძლეოსნები. კონტინენტის თასის მფლობელმა ამ ქვეყნის ქალთა გუნდმა წლეულს ჯერ ლონდონში ინგლისელები დაამარცხა, მერე შინ ბულგარელებს მოუგო, ამას წინათ კი ბუქარესტში რუმინეთ — კანადა — გდრ-ის მატჩშიც იმარჯვა. ბოლო შეჯიბრებაში ფუქსს შუბის ტყორცნაში მსოფლიო რეკორდამდე სულ ცოტა დააკლდა. მისი შედეგია 65,58 მ. როზემარიმ ამავე შეჯიბრებაში 193 სმ სიმაღლე დაძლია და გდრ-ის რეკორდი დაამყარა, რომელიც ბულგარელი ბლაგოევას მსოფლიო მიღწევას სანტიმეტრით ჩამორჩება.

ვალში არც ამ ქვეყნის მძლეოსანი ვაჟები დარჩნენ. ამას წინათ 20 წლის შტრაუბმა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში გდრ-ის რეკორდი გააუმჯობესა — 8.31,0. ორიოდე დღის წინათ ტაიმერმა ლაიპციგში ურო 76,60 მეტრზე ტყორცნა და მსოფლიო რეკორდი გდრ-ში „გადაასახლა".

კონტინენტის მომავალი ჩემპიონატის მასპინძლებიც თავგამოდებით ემზადებიან და ყველგან ცდიან ძალებს, სადაც ხელი მიუწვდებათ. ამას წინათ ვარშავაში ფავამ თავისი ქვეყნის რეკორდი დაამყარა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში (8.23,4), მერე კი ეს შედეგი კიდევ 0,4 წამით გააუმჯობესა.

ეროვნული რეკორდსმენები გახდნენ: ინგლისელი კეიპსი (ბირთვის კვრაში — 21 მ), ნორვეგიელები რუარი, (სიმაღლეზე ხტომაში — 219 სმ) და კვალჰეიმი (5000 მეტრზე რბენაში — 13.20,4), აგრეთვე, დასავლეთგერმანელი კარსტი, რომელმაც 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში ევროპის რეკორდი (8.18,4) გაიმეორა, რუმინელი სებესტიენი, რომელმაც ბუქარესტში 110 მეტრი 13,4 წამში დაფარა. თავიანთი ქვეყნების რეკორდსმენები გახდნენ, ჩეხოსლოვაკიელი ათლეტები მალი, რომელიც 222 სმ სიმაღლეზე გადახტა, და ჩერნლანოვა (400 მეტრი 52,6 წამში გაირბინა).

ყველა რეკორდსმენის ჩამოთვლა ძნელია, მაგრამ პოლონელი შევინსკა მაინც განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ, მსოფლიოში დღეს არც ერთი ქალი არაა ასეთ კარგ სპორტულ ფორმაში.

რაც შეეხებათ სსრ კავშირის მძლეოსნებს, მათი პირველი დიდი საზრუნავი აშშ-ს ათლეტებთან მატჩი იყო, მერე კი უშუალოდ ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებაზე გადავლენ. მართალია, რომში მათ მძიმე ბრძოლა ელით, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ იქიდან ხელცარიელი არ დაბრუნდებიან. ნაკრების ხელმძღვანელობას განსაკუთრებით სანეევის, მელნიკის, ჩიჟოვას და ზოგიერთი სხვა სპორტსმენის იმედი აქვს.

# რეკორდები

როსტოკი, 9 ივლისი. გდრ-ის მოცურავეთა ჩემპიონატის ბოლო დღის მშვენება იყო უ. რიხტერის მსოფლიო რეკორდი. 15 წლის გოგონამ 100 მეტრი გულაღმა ცურვით 1 წუთსა და 04,43 წამში დაფარა. ძველი მიღწევა კანადელ უ. კუკს ეკუთვნოდა და 1.04,78 იყო. რიხტერს ეკუთვნის, აგრეთვე, მსოფლიოს რეკორდი 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 2.18,41.

# „კოლმეურნის" ჩემპიონები

დუშეთში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რესპუბლიკური პირადი პირველობა ჭიდაობა სამბოში 1957-58 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ საგარეჯოს, კასპის, თელავის, გარდაბნისა და დუშეთის რაიონების გუნდები.

წონითი კატეგორიების მიხედვით „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ: დუშელები — ს. როსტიაშვილი (48 კგ), ს. მალიკაშვილი (58 კგ), ქ. ქავთარაძე (65 კგ), ა. სინჯარაძე (75 კგ), კასპელები — ზ. დავითაშვილი (70 კგ), ი. დემეტრაშვილი (80 კგ), გარდაბნელი თ. ჩუბინიძე (90 კგ) და თელაველი თ. ღოღიძე (მძიმე წონა).

გამარჯვებულ სპორტსმენთაგან დაკომპლექტდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ნაკრები, რომელიც მაიკოპში საკავშირო პირველობაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას დაიცავს.

ც. კბილცეცხლაშვილი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 10705